ლალი ზაქარაძე (ბსუ, პროფესორი)

პოსტურბანიზმის იდეა ფილოსოფიაში

მოხსენების თეზისები:

ქალაქის (ურბანული პროცესების) სოციალური განზომილება მრავალმხრივ არის საინტერესო: სოციალური სივრცეების ორგანიზება ყოველთვის სუბიექტის მოღვაწეობას უკავშირდება, ის სოციალური ცხოვრების ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია და თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებების ადეკვატური სოციალური გარემოს მოდელირების შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე, ის მკაფიოდ გვიჩვენებს საზოგადოების სოციო- კულტულური განვითარების დონეს.

პოსტურბანიზმის იდეა ფილოსოფიაში, ე.წ. პოსტურბანიზმი, როგორც ფილოსოფიური ურბანისტიკის მიმართულება, ურბანული სივრცის ტრადიციული გაგების რევიზიას უკავშირდება და ადამიანის საარსებო სივრცის ახალი პირობების გადააზრებას წარმოადგენს ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სოციო-კულტურული ცვლილებების პირობებში.

გვიანი მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის პერიოდში, ფილოსოფიაში გაჩნდა ტენდენცია, რომელიც ურბანული სივრცის გარდაქმნას და მის კონსტრუირებას ცივილიზაციური პარადიგმების ცვლილებას უკავშირებს და სწორედ ამ კონტექსტში ყალიბდება პოსტურბანიზმის იდეა.

პოსტურბანიზმი ქალაქის, როგორც სტრუქტურული ორგანიზმის, დეკონსტრუქცია და სივრცის ახალი ფენომენოლოგიაა. ამ კონტექსტში მრავალი საკითხი იქცა ფილოსოფიური რეფლექსიის საგნად. ასე მაგ.: ქალაქური სივრცის დაკარგვა, როგორც იდენტობის კრიზისი (დელიოზი და გვატარი), ქალაქური სივრცის რღვევა, ურბანული ჰიპერრეალობა (ბოდრიარი), ქალაქი როგორც სიმულაკრული გარემო, სადაც არქიტექტურა უკვე აღარ აქვს ფუნქციური დატვირთვა და სიმბოლურ ველშია მოქცეული; ქალაქური ტემპის ფენომენოლოგია (ვირილიო), თანამედროვე ქალაქის გადაჭარბებული მობილობა; ეკოლოგიური პოსტურბანიზმის იდეები, რომლის თანახმად ახალი სპეკულაციური რეალიზმისა და ობიექტზე ორიენტირებული ონტოლოგიის მიხედვით (მორტონ, ბრასიე), ადამიანი მხოლოდ ერთი აქტორი

გლობალურ ეკოსისტემაში, და ურბანული სივრცე უნდა გადაფასდეს პოსტჰუმანისტური კრიტერიუმებით.

პოსტურბანიზმის თეორიებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქალაქური ცხოვრების თანმხლები ნიშან-თვისებების - ეპიფენომენების (თ. ირემაძე) ანალიზი: ინდივიდუალიზმის გაწირვა, როგორც ქალაქში არსებობისთვის გაღებული მსხვერპლი, "ქალაქური ცხოვრების სიქველეები", ქალაქის იერსახის აღქმა - როგორც მოსახლეთა გარეგანი თუ შინაგანი მდგომარეობის პროექცია, ანდაც პირიქით: "ქალაქის სახე, ადამიანთა სულიერ მდგომარეობის გამომხატველი (ვ. ბენიამინი).

პოსტურბანიზმის თეორიებში ფილოსოფოსის მთავარ ეპიფენომენს წარმოადგენს ნევროზი. გარემო, სადაც ყოველივე უსწრაფესად იცვლება, ვითარდება, მეტამორფოზას განიცდის, ამავდროულად აჩქარებს ადამიანს და პიროვნებას ნევროტულ არსებად აყალიბებს. სახეზეა შეუგუებლობის პროცესი, იქნება ერთ-ერთი პირობა ექსურბანიზმიდან პოსტურბანიზმში გადასვლისა.

პოსტურბანიზმის ეპოქის დაბადება უკავშირდება ექსურბანიზმიას პროცესებს - ის პოსტურბანიზმის წინაპირობად განიხილება, ექსურბანიზმი ქალაქისა და ქალაქური ტიპის დასახლების დასასრულს მოასწავებს და ის დასაბამს მისცემს პოსტურბანიზმის ეპოქას.

ცხოვრების განვითარების წარმოუდგენლად სწრაფი ტემპები აშკარა ცვლილებებს იწვევს, რომელიც ცნობიერების განვითარებას, "ახალი ტიპის ადამიანის" ჩამოყალიბებასა და სივრცეში ადაპტირების პრობლემათა სპექტრს უკავშირდება.

ფილოსოფიაში პოსტურბანიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ ურბანული სივრცის კრიტიკით ან ქალაქის დაგეგმარების პრობლემატიკით. ის მოითხოვს სრულიად ახალი ტიპის ფენომენოლოგიურ, ეთიკურ და ონტოლოგიურ გადახედვას იმ პარადიგმებისა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა ადამიანის „ "ადგილთან მიმაგრებულობას". ქალაქის, როგორც კულტურული კოდის, დეკონსტრუქცია ცხადყოფს, რომ აღარ არსებობს ურბანული გამოცდილების საყოველთაოდ გაზიარებული მეტაფიზიკა — ადგილი და სივრცე ტექნოლოგიური ქსელების, პლატფორმებისა და ბიოპოლიტიკური კონტროლის სისტემებშია გადასული.

პოსტურბანიზმის ანტიურბანისტული განზრახვები პირდაპირ ეხმიანება ჟან-ფრანსუა ლიოტარის კრიტიკულ დისკურსს ქალაქის შესახებ, რომელიც ქალაქურ ცივილიზაციას განიხილავდა როგორც განუწყვეტელი ძალაუფლების დისპოზიტივს

და მოდერნის რეპრესიული პროექტის ნაწილს. ქალაქის, როგორც „გეომეტრიული ლოგოსის“ ლიოტარისეული კრიტიკული კონცეფცია მიმართულია ყოველივე იმის მიმართ, რაც გამოიხატებოდა სივრცის სრული თარგმანით ფუნქციურობის, დაგეგმარების და კონტროლის ენაზე. მისი აზრით, ქალაქი გახდა არა სიცოცხლის გამოხატულება, არამედ სიცოცხლის ფორმატირების მექანიზმი.

ამ გადმოსახედიდან, ქალაქური ცხოვრება შეიძლება განვიხილოთ როგორც მოდერნის წარუმატებელი პროექტი, რომელიც საკუთარი უტოპიური დაპირებების გამართლებას ვერ ახერხებს. ურბანული სივრცე თანდათან იქცა „მეხსიერების მუზეუმად”, სადაც ცხოვრების ნამდვილი ენერგია მხოლოდ წარმოდგენილ ფორმებად, ექსპონატებად რჩება. ადამიანი, რომელიც აქამდე ქალაქის კულტურულ ქსოვილში იყო მოქცეული, კარგავს ამ კავშირებს - ის აღარ არის მკვიდრი მოქალაქე, არამედ ხდება პოსტურბანული არსება, რომელიც ყოფითად განიცდის მუდმივ გადაადგილებას, გლობალურ მიჯაჭვულობასა და იდენტობის რღვევას.

ამიტომაც, პოსტურბანიზმის თეორიები მხოლოდ ინტელექტუალური რეფლექსია კი არ არის არსებულ მდგომარეობაზე, არამედ აქტიური მცდელობა — ჩამოყალიბდეს პოსტურბანული აზროვნება, რომელიც შეძლებს ქალაქის ცნებაზე ფიქრის ახალ ჩარჩოებში გადატანას. ეს აზროვნება გამოწვეულია იმ ონტოლოგიური ვაკუუმით, რომელიც წარმოიშვა ურბანული ცხოვრების კრიზისის შედეგად. ადამიანი ახალი სამკვიდროს ძიებაშია! და ეს არ ნიშნავს ფიზიკური საცხოვრებლის ძიებას, არამედ აზროვნების იმ ფორმის ძიებას, რომელიც კვლავ დაამკვიდრებს იმგვარ გეოფილოსოფიურ ხედვას, სადაც „ადგილი“ და „კულტურა“ კვლავ ურთიერთმიმართებაში იქნება ერთმანეთთან.

პოსტურბანიზმი, ამ თვალსაზრისით, არ არის საბოლოო მდგომარეობა, არამედ პროცესია, რომელიც გარდაქმნის არა მხოლოდ სივრცის შესახებ ფიქრს, არამედ თვითონ ადამიანური არსებობის გზასაც თანამედროვე სამყაროში.